ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლია ნოზაძე

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დასაქმება

სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

თბილისი

2020

## ანოტაცია

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ აქვთ სამამულო ინვესტიციების დიდი მოცულობა და ამ შემთხვევაში, უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყარო. თანამედროვე ფორმით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. ამ პროცესს ხელი შეუწყო სატრანსპორტო სფეროს, ინფრასტრუქტურის, ტელეკომუნიკაციებისა და განსაკუთრებით, ინტერნეტის განვითარებამ. მაშასადამე, გამარტივდა მსოფლიოს მასშტაბით კომუნიკაცია.

მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც ან პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობდა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხასიათდება მრავალი პოზიტიური და ნეგატიური გარე ეფექტებით. ნაშრომში, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მის გავლენაზე სამუშაო ძალაზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ორმხრივი გავლენა აქვს ადამიანურ კაპიტალზე. ერთი მხრივ, ის ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც პოზიტიურად განიხილება, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირებას ახდენს.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასაქმებაზე გავლენის სამი ძირითადი ასპექტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეული დასაქმებულთა ზრდა, მათი კვალიფიციურობის ამაღლება და შესაძლო ექპლოატაცია უცხოელი დამსაქმებლების მხრიდან.

# Annotation

Foreign Direct Investment (FDI) represents a crucial component of the modern globalized economy. FDI forms the core component of the global economic development. It promotes growth and increases the spread of technology and skills, further enhancing efficiency and enabling countries to lift millions out of poverty. The importance of FDI is especially evident in capital poor developing countries which are dependent on attracting FDI in order to fund growth, bring in new technologies and practices. The growth of FDI has been closely linked to the increase in globalization. The development of global transportation system, infrastructure and telecommunications have reduced information asymmetry and made investing in foreign countries far more attractive than ever before and FDI flows have for their part continually contributed to the development and implementation of technologies that make greater level of globalization possible.

While FDI has had a positive impact on the economic development and FDI flows into developing countries have been critical in funding the past decades of growth it is not without negatives. One often raised issue is that of "race to the bottom" and labour exploitation.

This paper aims to explore the impact of FDI on labour force, the unemployment and compensation of the labour provided. In order to examine the relationship between FDI and labour, this paper focuses on three aspects, creation of employment opportunities, development of human resources and compensation.

# სარჩევი

**შესავალი ..... 5**

**1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა..... 9**

1.1 მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები11

**2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ..... 14**

2.1 მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა 1970-წლიდან..... 14
2.2 პუის როლი GDP-ის ფორმირებაში ..... 17

**3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტები ..... 20**

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ეფექტები ..... 20
3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეგატიური ეფექტები ..... 23
3.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ..... 26

**4. უმუშევრობის მნიშვნელობა ..... 32**

4.1 უმუშევრობის განსაზღვრება და მისი ტიპები ..... 32
4.2 უმუშევრობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე..... 36

**5.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დასაქმება..... 39**

5.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - სამუშაო ადგილების შექმნა..... 41
5.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ადამიანური რესურსების განვითარება44
5.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ადამიანური რესურსების ექსპლუატაცია და ანაზღაურება ..... 48

**დასკვნა..... 51**

**გამოყენებული ლიტერატურა ..... 54**

# შესავალი

ეკონომიკის განვითარებაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. მთავარ დეტერმინანტებად შესაძლებელია განვიხილოთ - არსებული ადამიანური და ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგიები და ინოვაციები, გეო-პოლიტიკური სტაბილურობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, განათლების დონე და სტანდარტები, ინფრასტრუქტურული მოწყობა და ბოლოს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური კუთხით, კაპიტალი - ფულადი რესურსი, რომელიც წარმოადგენს საშუალებას, რომ განვახორციელოთ ინვესტიციების სხვადასხვა სფეროში.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს[1] განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ აქვთ სამამულო ინვესტიციების დიდი მოცულობა და ამ შემთხვევაში, უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყარო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქმნის განვითარებად ქვეყანაში ძირითად კაპიტალს და გულისხმობს ინვესტორის ხანგრძლივ ინტერესს.

ინვესტიციები ისტორიულად ყოველთვის არსებობდა. თუმცა, თანამედროვე ფორმით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. მას შემდეგ, რაც ქვეყნებმა ღიად (ნაკლები შეზღუდვებით) დაიწყეს ვაჭრობა, ასევე გაჩნდა შესაბამისი გარემო ინვესტიციებისათვისაც. განსაკუთრებით კი, მზარდი ტენდენცია შეინიშნება 1990-2000-იანი წლებში, როდესაც მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მოხდა, როგორიცაა სოციალისტური საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის კავშირის დაშლა. შესაბამისად, მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი მკვეთრად შეიცვალა. ამ პროცესს ხელი

[1] ნაშრომში გამოყენებული იქნება შემოკლებული ფორმები: „პუი“ ან “FDI” (Foreign Direct Investment)

შეუწყო სატრანსპორტო სფეროს, ინფრასტრუქტურის, ტელეკომუნიკაციებისა და განსაკუთრებით, ინტერნეტის განვითარებამ. მაშასადამე, გამარტივდა მსოფლიოს მასშტაბით კომუნიკაცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის ფორმირებაზე, თუმცა, ეფექტის დონე საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში, რამდენად ღიაა ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტირებისათვის და მეორე, რამდენად ეფექტიანად გადანაწილდება ქვეყანაში შემოსული კაპიტალი სხვადასხვა დარგებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მომგებიანია ორივე მხარისათვის, რადგან მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები სარგებლობენ სახსრებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ ექნებოდათ, ხოლო განვითარებული ქვეყნების ინვესტორებს არსებული, გაჯერებული ბაზრებიდან გადააქვთ კაპიტალი უფრო მომგებიან ბაზრებზე. თუმცა, მაინც ცხარე დებატების საგანია პუის გარე ეფექტები.

მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროებით გარდამავალი ეკონომიკები გამოირჩევიან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არა მხოლოდ, ფინანსური რესურსების შემოდინებას არამედ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების შემოდინებას უწყობს ხელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტების განხილვისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის ორმაგ გავლენას მიმღები ქვეყნის სამუშაო ძალაზე. აქ, მეცნიერთა მოსაზრებები ორად იყოფა. ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს მიმღებ ქვეყანაში, შესაბამისად, ამცირებს უმუშევრობას. დამატებითი სამუშაო ადგილები და გამოშვება, კი ზრდის მთლიან შიგა პროდუქტს და ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში.

მეორე მხრივ, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური

მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ. შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალა დაბალანაზღაურებად, არაპრესტიჟულ ადგილებზე არიან დასაქმებულები, მწირი ტრეინინგების ფონზე.

შესაბამისად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საუბრისას კამათის მთავარ თემად სწორად სამუშაო ძალა გვევლინება. მაშასადამე, საინტერესოა განხილული იქნას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის კავშირი და გავლენა. ამ კუთხით, ნაშრომში განხილულია სამი ასპექტი:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა სამუშაო ადგილების შექმნაზე;

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ადამიანური რესურსების განვითარებაზე;

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც გამომწვევი მიზეზი ადამიანური რესურსების ექსპლუატაციისა და სამუშაო ძალის ანაზღაურების საკითხი.

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს მსოფლიო ბანკი და საქართველოს სტატისტიკის სამსახური. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი ხარისხობრივი, თვისობრივი, შედარებითი, სტატისტიკური ანალიზის, დაჯგუფების, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. სტატისტიკური მონაცემები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და  მთლიანი შიგა პროდუქტის ტენდენციები) განაალიზებულია 1970-წლიდან 2018 წლამდე.

ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა. პერიოდულ გამოცემათა მასალებს; საერთაშორისო ჟურნალებს - World Economic, World Finance, European Economic Review, Eurasia Review, International Journal of Arts and Sciences, Journal of Social Economic Research და სხვა.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან.

I თავში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა და მისი მსოფლიო ტენდენციები;

II თავში განაალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის წყაროდ და მთლიანი შიგა პროდუქტის კომპონენტად. მიმოხილულია, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 1970 წლიდან დღემდე.

III თავი ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტებს. განხილულია მეცნიერთა მოსაზრებები, როგროც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები.

IV თავში განხილულია უმუშევრობა, მისი მნიშვნელობა, ტიპები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

V თავი ეხება უშუალოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტებს სამუშაო ძალაზე. კონკრეტულად, დასაქმების დონის ზრდა, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებასა და თეორიებს, მათ შესაძლო ექსპლოატაციას უცხოელი ინვესტორების მხრიდან.

# 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა

ტერმინი „ინვესტიცია“ გამოიყენება ფინანსური ან არაფინანსური აქტივების დაბანდების აღსანიშნავად, მომავალში მოგების მიღების მიზნით. (Cambridge Dictionary, 2020) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიცია, ეს არის საქონლის შეძენა, რომელიც არ მოიხმარება დღეს თუმცა, მოსალოდნელია მისგან მოგების მიღება მომავალში. სხვადასხვა ორგანიზაციები თუ მეცნიერები, ისტორიულად ინვესტიციის განსხვავებულ განმარტებებს გვთავაზობდნენ, მაგრამ თითოეული მათგანი დაკავშირებულია აქტივების დაბანდებასთან მომავალში მოგების მიღების მიზნით.

ინვესტიცია შეიძლება იყოს სამამულო და უცხოური. ადგილობრივი ქვეყნის მოქალაქის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას სამამულო ეწოდება, ხოლო, არარეზიდენტის მიერ - უცხოური.

უცხოური ინვესტიცია შეიძლება იყოს პორტფელური და პირდაპირი - რისკებისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე. პირდაპირი ინვესტიცია არის, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ან ერთობლივი და უცხოური საწარმოების საწესდებო ფონდში ჩადებული თანხა, რეინვესტირებული მოგება და სხვა დაბანდებები. პორტფელის ინვესტიცია - ისეთი დაბანდებები საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე, იმ სახის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას. (საქართველოს პარლამენტი, 2014)

პორტფელური ინვესტიცია - ნაკლებად რისკიანი ინვესტიცია, რომელიც შედარებით მოკლევადიან მიზნებთან არის დაკავშირებული. ამ ტიპის ინვესტიციის ძირითადი სახე, ობლიგაციების შეძენა და მათგან მოგების მიღებაა, რომელიც სიმცირიდან გამომდინარე, არ აძლევს ინვესტორს კონტროლის საშუალებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კი, სწორად, ის ინვესტიციის ტიპია, რომელიც ქვეყანაში ქმნის ძირითად კაპიტალს. ამ შემთხვევაში ინვესტორი ფლობს საკონტროლო პაკეტს. პუი ძირითადად, გრძელვადიანი მიზნებით ხასიათდება და

შესაბამისად, არის შედარებით რისკიანი ინვესტიციაც. თუმცა, პუი-ც შეიძლება დავყოთ მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშუალოვადიანი (ერთიდან სამ წლამდე) და გრძელვადიანი (სამ წელზე მეტი) ხანგრძლივობის ინვესტიციებად. მისი მფლობელი, ანუ ინვესტორი, შეიძლება იყოს კერძო პირი, ორგანიზაციები, უცხო ქვეყნის მთავრობები ან შერეული ტიპის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) არის ინვესტიციის ის ტიპი, რომელიც გულისხმობს ინვესტორის ხანგრძლივ ინტერესს. ხანგრძლივი ინტერესი გულისხმობს ინვესტორისა და ინვესტირებულ საწარმოს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის არსებობას და საწარმოს მართვაზე გავლენის მნიშვნელოვან ხარისხს. მიიჩნევა, რომ FDI-ად შეიძლება განხილული იყოს ინვესტიცია, რომლის მფლობელიც ფლობს აქციების 10%-ს ან მეტს, რაოდენობა, რომელიც მას საშუალებას მისცემს იყოს გადაწყვეტილების მიმღები. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ხშირ შემთხვევაში, მაგალითად 8%-ის ფლობაც შესაძლებელია, საკმარისი იყოს მენეჯმენტში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიო რეკომენდირებული 10%-იანი ბარიერის დარღვევა არ არის მიზანშეწონილი, რათა დაცული იყოს ქვეყნებს შორის სტატისტიკური სიზუსტე დაანგარიშებისას. (OECD - Glossary, p. 7)

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ აქვთ სამამულო ინვესტიციების დიდი მოცულობა და ამ შემთხვევაში, უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყარო.

## 1.1 მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები

ინვესტიციები ისტორიულად ყოველთვის არსებობდა. თუმცა, თანამედროვე ფორმით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. მას შემდეგ, რაც ქვეყნებმა ღიად (ნაკლები შეზღუდვებით) დაიწყეს ვაჭრობა, ასევე გაჩნდა შესაბამისი გარემო ინვესტიციებისათვისაც. ამ პროცესს ხელი შეუწყო სატრანსპორტო სფეროს, ინფრასტრუქტურის, ტელეკომუნიკაციებისა და განსაკუთრებით, ინტერნეტის განვითარებამ. მაშასადამე, გამარტივდა მსოფლიოს მასშტაბით კომუნიკაცია.

მსოფლიო ბანკი 1970 წლიდან აღრიცხავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება/გადინებას. (The World Bank, 2018) აგრეგირებული მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მზარდია. 1970 წლიდან, პუი იზრდება, განსაკუთრებით კი მზარდი ტენდენციით ხასიათდება 1990-2000-იანი წლებში, როდესაც მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მოხდა, როგორიცაა სოციალისტური საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის კავშირის დაშლა. შესაბამისად, მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი მკვეთრად შეიცვალა. ასევე ამ პერიოდს უკავშირდება ტექნოლოგიური ბუმი და ინტერნეტის განვითარება, რაც მსოფლიო ვაჭრობისა და ინვესტირებისათვის უდავოდ, დადებითი ფაქტორია.

ინვესტიციები თავისი მნიშვნელობით დაკავშირებულია რისკთან. ინვესტორის მიზანია ამ რისკების მინიმიზაცია. შესაბამისად, არასტაბილურობისას ინვესტორები თავს იკავებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისაგან. 2000 წლებიდან, ცალსახაა გარკვეული მსოფლიო ჩავარდნები, რომლებიც ასევე დაკავშირებულია მსოფლიოში მიმდინარე კრიზისულ მოვლენებთან.



[2]

2000 წელს მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ 1,569 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა პუის ბუმის დეკადა, 21-ე საუკუნის პირველივე წელსვე, მსოფლიოში მნიშვნელოვანმა ვარდნამ ჩაანაცვლა, და უცხოურმა ინვესტიციებმა 895 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა, რომელიც მომდევნო, 2002-2003, წლებშიც გაგრძელდა. გამომწვევ მიზეზებად შეგვიძლია განვიხილოთ, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში განვითარებული კრიზისების ერთობლიობა (რომელიც ამცირებს ამ რეგიონის მიმზიდველობას). მაგალითად, 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისი; რუსეთის დეფოლტი 1998 წელს; არგენტინის  და ბრაზილიის კრიზები 1998-2000 წლებში; ასევე, ე.წ. „Dot-com bubble", იგივე ტექნოლოგიური საპნის ბუშტი, რომელიც გამოიწვია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპანიების ფინანსურმა სპეკულაციებმა. (Jungbluth, 2019)

2004 წლიდან მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ იწყებს ზრდას, რომელიც 2008-წლამდე, მსოფლიო  ფინანსურ კრიზისამდე გრძელდებოდა.

[2] მსოფლიო ბანკის მონაცემები - (The World Bank, 2018)
World - Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$)
International Monetary Fund, Balance of Payments database, supplemented by data from the United Nations Conference on Trade and Development and official national sources.

(ვარდნას ასევე, ადგილი ჰქონდა სამი წლის განმავლობაში, 2008, 2009, 2010 წლებში) (UNCTAD, 2009)

21-ე საუკუნეში ყველაზე დაბალი ნიშნული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა (ამ მომენტისათვის არსებული მონაცემებზე დაყრდნობით) 2018 წელს დაფიქსირდა, რომელმაც შეადგინა 1,193 მილიარდი აშშ დოლარი, რაც თითქმის უტოლდება 1999 წელს დაფიქსირებულ მოცულობას. ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, როგორც უკვე აღინიშნა, დაკავშირებულია გლობალიზაციის განვითარებასთან. ხოლო, ბოლო დეკადაში დაფიქსირებული ვარდნები, უკავშირდება მსოფლიოში განვითარებულ ანტი-გლობალისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას. 2018 წელს პუი-ს ვარდნის ძირითად მიზეზად მიჩნეულია, აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, მიერ გატარებული ეკონომიკური კურსი, რომლის საფუძველზეც გატარდა მოგების დაბეგვრის რეფორმა. (Ballard, 2019)

შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი შემცირების მიზეზი, მსოფლიო ისტორიაში, ფინანსურ კრიზისებს, რეცესიებს უკავშირდება. თუმცა, ხშირია ფაქტები, როდესაც პროტექციონისტული, ანტი-გლობალისტური ეკონომიკური პოლიტიკა ასევე, აფერხებს ინვესტიციების გადინება/შემოდინებას. ლოგიკურია, რომ ამ ტიპის პოლიტიკის გამტარებლებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მისი გადინება და შემოდინებაც) უარყოფით მოვლენად მიჩნიათ. საინტერესოა, განვიხილოთ, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ჭრილში რა როლი აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

# 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

ეკონომიკის განვითარებაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. მთავარ დეტერმინანტებად შესაძლებელია განვიხილოთ - არსებული ადამიანური და ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგიები და ინოვაციები, გეო-პოლიტიკური სტაბილურობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, განათლების დონე და სტანდარტები, ინფრასტრუქტურული მოწყობა და ბოლოს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური კუთხით, კაპიტალი - ფულადი რესურსი, საშუალება, ინვესტიციების განხორციელების სხვადასხვა სფეროში. (Ndedi, 2017)

## 2.1 მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა 1970-წლიდან

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ, ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელიც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის ჭრილში. ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საზომად, მსოფლიოში, ჯერ-ჯერობით, მიჩნეულია, მთლიანი შიგა პროდუქტი[3]. (Ndedi, 2017)

მთლიანი შიგა პროდუქტი შემდეგნაირად განიმარტება - დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონელისა და მომსახურების ღირებულება. ეკონომიკური ზრდის გასაზომად, აპრობირებული მეთოდია მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპის გამოყენება, მაშასადამე, მოცემული წლის GDP-ის პროცენტული ცვლილება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. ასევე, GDP ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური მაჩვენებელი შეფარდებული მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან), ან ინფლაციის გამორიცხვით დაანგარიშებული GDP-ს მოცულობა, რომელსაც რეალურ მთლიან

[3] შესაძლებელია გამოყენებული იყოს შემოკლებული ფორმა: GDP (Gross domestic product)

შიგა პროდუქტს უწოდებენ, ხოლო მის ნაზრდს - მთლიანი შიგა პროდუქტის რეალურ ზრდას. (Callen, 2020)

განვიხილოთ, მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპები 1970 წლიდან 2018 წლამდე, და მისი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. ამგვარად, მსოფლიოს მთლიანი შიგა პროდუქტის საერთო მოცულობა შეფარდებული მის საშუალო-წლიურ მოსახლეობასთან, ფიქსირებული 2010 წლის ფასებით[4].

1970 წლიდან დღემდე, მსოფლიოს მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე თითქმის, მუდმივად მზარდია. 48 წლიან ისტორიაში, მისი შემცირება მხოლოდ, ხუთჯერ[5] დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო შესაბამისი კრიზისებითა თუ მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომლებიც მსოფლიო რეცესიებად მოიხსენიება. (Kose, Sugawara, & Terrones, 2020).

GDP-ის მოცულობის, ერთ სულ მოსახლეზე, ყველაზე დიდი შემცირება 2009 წელს დაფიქსირდა, 273 აშშ დოლარით, რომელიც 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ კრიზისს უკავშირდება. სწორად ამ წელს, 1970 წლიდან 2018 წლამდე, პირველად დაფიქსირდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპის უარყოფითი მაჩვენებელი - 2009 წელს GDP-ის კლებამ 1.7% შეადგინა. თანამედროვე ისტორიაში ყველაზე დიდი, 2008 წლის კრიზისი მნიშვნელოვნად შეეხო ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელს და შესაბამისად, მსოფლიოს მოსახლეობასაც. აღნიშნული, 1929-1930 დიდი დეპრესიის შემდგომ, ყველაზე მძიმე მსოფლიო კრიზისად მიიჩნევა. (Bivens, 2010)

---

[4] მსოფლიო ბანკის მონაცემები - (The World Bank, 2018)
World - GDP per capita (constant 2010 US$)
World - GDP growth (annual %)

[5] 1975 წელი - ენერგეტიკული კრიზისი (1973-1974);

1982 წელი - მეორე ენერგეტიკული შოკი 1979 წელს;

1991, 1993 წელი - არასტაბილური მსოფლიო გეოპოლიტიკური/ფინანსური მდგომარეობა. სპარსეთის ყურის ომი (1990-1991); საბჭოთა კავშირის დაშლა (1991); იუგოსლავიის დაშლა (1991); საკრედიტო/საბანკო არასტაბილურობა აშშ-სა და სკანდინავიის ქვეყნებში (1990-1991); იაპონიის აქტივების „საპნის ბუშტი“ (1986-1991);

2009 წელი - 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი.




GDP ერთ სულ მოსახლეზე, მზარდი ტენდენცია, კვლავ მოწმობს მსოფლიოს განვითარების ზრდის ტენდენციას. მაგალითისათვის, 1970 წელს, GDP-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 5 200 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს მისი მოცულობა გაორმაგებულია და 10 900 აშშ დოლარს შეადგენს. მაშასადამე, 2018 წელს დედამიწის ერთი მოსახლე, საშუალოდ ორჯერ უფრო უზრუნველყოფილად ცხოვრობს, ვიდრე იგი იცხოვრებდა 1970 წელს. რა თქმა უნდა, ქვეყნებს შორის აღნიშნული ზრდის გადანაწილება საკმაოდ არაპროპორციულია (Zucman, 2019), თუმცა ამ კონკრეტულ მომენტში, მსოფლიო ტენდენციის განაალიზებისას, ამ უთანაბრობის და მისგან გამოწვეული უარყოფითი მოვლენების უგულებელყოფა მოგვიწევს.

საინტერესოა, განვიხილოთ რა როლს თამაშობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უშუალოდ მთლიანი შიგა პროდუქტის ფორმირებაში და შესაბამისად, მსოფლიოს განვითარებაში.

## 2.2 პუის როლი GDP-ის ფორმირებაში

მთლიანი შიგა პროდუქტი არის ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში. (Mankiw, 1998, p. 639) ხოლო, ინვესტიციები არის კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ სხვადასხვა დარგის საწარმოებში, სამეწარმეო  და ინოვაციურ პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში მოგების ან სხვა შემოსავლის მიღების მიზნით. (საქართველოს პარლამენტი, 2014)

მთლიანი შიგა პროდუქტის დაანგარიშების რამდენიმე მეთოდი არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული დანახარჯების მიხედვით გამოთვლაა. შესაბამისად GDP-ის თუ აღვნიშნავთ Y-ით, ის შეგვიძლია, შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$Y=C+G+I+NX$$

სადაც,

- C - მოხმარება - საოჯახო მეურნეობების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- G - სახელმწიფო შესყიდვები - ადგილობრივი და ფედერალური მთავრობების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯები;
- I - ინვესტიციები - კაპიტალურ მოწყობილობებსა და შენობებზე გაწეული ხარჯები;
- NX - წმინდა ექსპორტი - ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა. (მენქიუ, 2000, გვ. 644)

შესაბამისად, ფორმულიდან თვალნათლივ ჩანს, რომ GDP-სა და ინვესტიციებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. კერძოდ, ინვესტიციები წარმოადგენს მშპ-ს ერთ-ერთ კომპონენტს. ინვესტიციები, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს მრავალი სახის, ეს შეიძლება იყოს - ადგილობრივი თუ უცხოური, პორტფელური თუ პირდაპირი. ამ შემთხვევაში კვლევის საგანს წარმოადგენს, რა გავლენა აქვს

კონკრეტულად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს GDP-ზე. FDI-სა და მთლიან შიგა პროდუქტს შორის მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი გამოვლენილია მრავალი კვლევით. (Khan S. , 2014), (Herzer, 2010).



[6]

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულია ინდიკატორი, რომელიც ზომავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების თანაფარდობას მთლიან შიგა პროდუქტთან. ამ შემთხვევაში, განვიხილოთ, აგრეგირებული მსოფლიო ინდიკატორები. აღნიშნული გრაფიკი 1970-2018 წლებში დაკვირვებისას, საკმაოდ გავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ტრენდს. კონკრეტულად, 1990 წლამდე პროცენტულობა უმნიშვნელოდ იცვლებოდა, ხოლო 2000 და 2007 წლებში მიაღწია თავის პიკს, შესაბამისად, 4.6%-სა და 5.4%-ს. ბოლო ოცწლეულში, ყველაზე დაბალ ნიშნულებს კი, 2003, 2009, 2018 წლებში მიაღწია. რა თქმა უნდა,

[6] (The World Bank, 2018)
World - Foreign direct investment, net inflows (% of GDP)

ანალოგიური მიზეზების გამო, რაც ახასიათებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილებას.

ერთმნიშვნელოვნად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს აქვს გავლენა GDP-ზე თუმცა, გავლენის დონე საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში, რამდენად ღიაა ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტირებისათვის და მეორე, რამდენად ეფექტიანად გადანაწილდება ქვეყანაში შემოსული კაპიტალი სხვადასხვა დარგებში.

რა თქმა უნდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაბარი შემოდინება ორ ქვეყანაში არ განაპირობებს, რომ ორივე ქვეყნის GDP ერთნაირად გაიზრდება, რადგან მშპ-ზე მოქმედებს სხვა მრავალი ფაქტორიც და ასევე თავად, FDI-ის ეფექტურ ათვისებაზეც არის დამოკიდებული. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ზოგ ინვესტიციას სჭირდება რამდენიმე წლიანი ციკლი რათა ეკონომიკაზე აისახოს მისი შედეგი.

მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც ან პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობდა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნებიდან, რომლებშიც არსებობს ჭარბი ფინანსური რესურსი, კაპიტალი გაედინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ. ეს პროცესი მომგებიანია ორივე მხარისათვის, რადგან მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები სარგებლობენ სახსრებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ ექნებოდათ, ხოლო განვითარებული ქვეყნების ინვესტორებს არსებული, გაჯერებული ბაზრებიდან გადააქვთ კაპიტალი უფრო მომგებიან ბაზრებზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თავისი რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, აგრეგირებული მსოფლიოსათვის, დადებითი მოვლენაა. ნებისმიერი პროცესი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების ზრდას, ასევე აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასაც.

# 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ჭარბი კაპიტალის რესურსების გადანაწილება იმ ქვეყნებისაკენ, რომლებიც განიცდიან მის ნაკლოვანებას და, სადაც შესაძლებელია ფინანსური რესურსების დაბანდებიდან მეტი უკუგების მიღება. მაშასადამე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, აგრეგირებული მსოფლიოსათვის პოზიტიური მოვლენაა (Agarwal, 1980). შესაბამისად, გლობალისტები, ვინც მსოფლიოს აგრეგირებულად უყურებს, FDI-ის პოზიტიურად აფასებენ, ხოლო, პროტექციონისტები და ნაციონალისტები, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, ქვეყნის განვითარების დონეზე, რისკების დანახვისაკენ მოგვიწოდებენ. მნიშვნელოვანია, ორივე მხარის არგუმენტი განვიხილოთ და შევაჯამოთ.

## 3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ეფექტები

თანამედროვე მსოფლიოში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს უფრო მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგე. შესაბამისად, დავიწყოთ, მათი არგუმენტების განხილვით, კერძოდ, FDI-ის პოზიტიური გავლენა მიმღებ ქვეყანაზე.

მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროებით გარდამავალი ეკონომიკები გამოირჩევიან. (Makki & Somwaru, 2004) მათ სხვადასხვა სფეროებში სჭირდებათ დიდი რაოდენობით ინვესტირება, რათა შეძლონ და ფეხი აუწყონ თანამედროვე მსოფლიოს. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში მაღალია სიღარიბის დონეს, რაც ამცირებს ადგილობრივი დაზოგვის ნორმას, შესაბამისად პოტენციურ ადგილობრივ ინვესტიციებს. დაზოგვა (s), არის განკარგვადი შემოსავალის ის ნაწილი, რაც რჩება მოხმარების (c) შემდგომ. შესაბამისად, დახურულ ეკონომიკაში, ინვესტირებული კაპიტალის მოცულობა (I) ტოლია დაზოგვის ნორმის (s). (Blanchard, 2008) ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი, განკარგვადი შემოსავალი შედარებით ნაკლებია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას დაზოგონ და შემდეგ, განახორციელონ ინვესტიციები. შესაბამისად, აღნიშნული

ქვეყნებისათვის განვითარების მთავარ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ეკონომიკაში ინვესტირების გარეშე კი შეუძლებელია, არსებული რესურსების ეფექტიანობის ზრდა. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მიმღებ ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია აწარმოოს. (Blomstrom & Kokko, The Impact of Foreign Investment on Host Countries, 1997)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროება მსოფლიომ შედარებით, ორი მსოფლიო ომის შემდგომ შეამჩნია. როდესაც, მთლიანი ევროპა თავიდან საჭიროებდა განვითარებას რაც დიდძალ ეკონომიკურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. სწორად, ამ პერიოდში ჩანს უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი. (Moon, 2016)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არა მხოლოდ, ფინანსური რესურსების შემოდინებას არამედ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების შემოდინებას უწყობს ხელს ორი მიმართულებით. (Loungani & Razin, 2011) პირველ რიგში, პირდაპირი გზით, უცხოური ფირმის გამოცდილების გაზიარებით, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდილი კონკურენციით ადგილობრივი ფირმების სტიმულირებით, რათა უფრო ეფექტიანი გზები მოიძიონ და შესაბამისად, წახალისდეს ინოვაცია და არსებული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტური გზები.

უცხოური ფირმების მიერ გაზიარებული გამოცდილება ასევე, ამაღლებს სამუშაო ეთიკას. შესაბამისად, ორგანიზაციული მენეჯმენტი და მიდგომებიც იცვლება. (Khan M. A., 2016)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მიმღებ ქვეყანას უფრო ღიას ხდის გლობალიზაციის პირობებში. რაც გამოიხატება, მოცემული ქვეყნის მთავრობის ჩარევის შემცირებით, კერძო საკუთრების დაცვით და საბოლოო ჯამში, ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდით. (Kapuria-Foreman, 2008).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას, შესაბამისად, ამცირებს ადგილობრივ მონოპოლიებს და მოსახლეობას

სთავაზობს საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანს. (Blomström, Kokko, & Mucchielli, 2003)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის საგადასახადო შემოსავლებს. შესაბამისად, დამატებით საშუალებას ქმნის ქვეყნისათვის, რათა დაფინანსდეს სხვადასხვა დარგები და ხელი შეეწყოს ზრდასა და განვითარებას. (Bayar & Ozturk, 2018)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს მიმღებ ქვეყანაში, შესაბამისად, ამცირებს უმუშევრობას. დამატებითი სამუშაო ადგილები და გამოშვება, კი ზრდის მთლიან შიგა პროდუქტს და ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში. (Aktar, Demirci, & Öztürk, 2009) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის გარკვეულ სპირალს, დამატებითი სამუშაო ადგილებით, ჩნდება დამატებითი მოთხოვნა ბაზარზე, გაზრდილი მოთხოვნა უფრო მეტ სამუშაო ძალას მოითხოვს და შესაბამისად, კვლავ ფართოვდება ბაზარი, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეკონომიკურ ინდიკატორებზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

## 3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეგატიური ეფექტები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად გამომდინარეობს პროტექციონისტული პოლიტიკიდან. ისინი მიუთითებენ შესაძლო „ინვესტიციების სიხარბესა“ და მთავრობის ქმედითუნარიანობის დაქვეითებაზე, რომელმაც შესაძლოა მომავალში უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. (ჭარაია, 2015)

„ინვესტიციების სიხარბე“ მიუთითებს მოცემულობაზე, როდესაც ქვეყანა მზად არის მიიღოს ინვესტიცია ყოველგვარი შეზღუდვებისა და ნორმების გარეშე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) შემოსვლა ქვეყანაში, ერთი მხრივ, დადებითი მოვლენაა, რადგან მათთან ერთად შემოედინება დიდი ფინანსური რესურსი ქვეყანაში. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ტნკ-ის გავლენამ ქვეყანაში გადააჭარბოს მთავრობისას (მცირე ქვეყნების შემთხვევაში). ამ დროს, იმის მიუხედავად, რომ მთავრობამ შეძლოს გარკვეული ნორმები დაუწესოს ტნკ-ებს, პირიქით, უცხოელი კომპანიები უწესებენ მოთხოვნებს ქვეყნის მმართველებს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მივიღოთ რეალობა, როდესაც ქვეყანას მართავს არა მთავრობა, არამედ ტნკ-ის გენერალური დირექტორი. ამ დროს, შესაძლებელია გაჩნდეს თავისუფლების ასიმეტრია, მთავრობის გადაწყვეტილების მიღების უნარის დაქვეითებასა და პოლიტიკურ დომინირებას ტნკ-ების მხრიდან. (Jarblad, 2003)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი დადებითი მხარეა ბაზრის გაჯერება და ადგილობრივი მონოპოლიების გაქრობა. მეორე მხრივ, ანალოგიური შეიძლება განვიხილოთ ნეგატიურ კონტექსტშიც. კერძოდ, უცხოურ კომპანიებს უფრო დიდი ფინანსური რესურსები გააჩნიათ. შესაბამისად, ისინი უფრო კონკურენტუნარიანები არიან. მათ შესაძლოა, ადგილობრივი ბაზრებიდან განდევნონ მცირე და საშუალო ბიზნესები და თავად გახდნენ მონოპოლისტები. ანალოგიურად, როდესაც ბაზარზე არსებობს დიდი კომპანიები, რთულია მცირე ადგილობრივმა

ფირმებმა შეძლონ შეაღწიონ და კონკურენცია გაუწიონ ბაზარზე მათ. (Sheppard, Porter, Faust, & Nagar, 2009, p. 515)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვა ნაკლოვანებად შეგვიძლია განვიხილოთ მისი არასტაბილურობა. ინვესტორების მთავარი მოტივაცია არის მოგების მიღება, მათ არანაირი ეროვნული სულისკვეთება არ ამოძრავებთ, განსხვავებით ადგილობრივი მეწარმეებისაგან. შესაბამისად, მათ შეგვიძლია ვუწოდოთ „ამინდის მეგობრები“, როგორც კი ქარი (მცირე კრიზისი) დაუბერავს, იმ წამსვე ცდილობენ აქტივების გადატანას ნაკლებად რისკიან ქვეყნებში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ქარს და რეცესიაში გადაიზრდება. (Brukoff & Rother, 2007) ასევე, გლობალური კრიზისებისას, ყველაზე რთულ მდგომარეობაში, კვლავ, გარდამავალი ქვეყნები ხვდებიან, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დამოკიდებული უცხოურ რესურსებზე და ინვესტიციების გაქრობა მათთვის საკმაოდ მტკივნეულია. სწორად, ამ ნაშრომის წერის დროს მსოფლიოში მძვინვარებს ე.წ. „კორონა“ ვირუსი, რომელმაც თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიო, ჩაკეტილ მდგომარეობაში გადაიყვანა. როგროც ვიცით, ჩაკეტილ ეკონომიკაში, ინვესტიციები ტოლია ადგილობრივი დანაზოგებისა, ხოლო აღნიშნულის არ არსებობისას ქვეყანა წყვეტს განვითარებას. კორონა ვირუსმა ეკონომიკა მედიცინის მძევალი (Papava, 2020) გახადა და მრავალი კუთხით დააზიანა, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსაც შეეხო. კორონავირუსის დროს არსებულ ეკონომიკას, როდესაც ეკონომიკური თეორიები უძლურია, კორონომიკა ეწოდა. (Stelter, 2020)

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ასევე, ორმხრივი გავლენა აქვს სამუშაო ძალაზე. ერთი მხრივ, ის ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც პოზიტიურად განიხილება, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ. შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალა დაბალანაზღაურებად, არაპრესტიჟულ ადგილებზე არიან დასაქმებულები, მწირი ტრეინინგების ფონზე. ამ მხრივ, პირდაპირი უცხოური

ინვესტიცია, რომლის ერთმნიშვნელოვანი მოტივაცია მოგების მიღებაა, შესაძლებელია ნეგატიურად განვიხილოთ, რადგან ინვესტორს არ აქვს ეროვნული მოტივები ადგილობრივი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების. (Vissak & Roolaht, 2014)

განხილული დადებითი და უარყოფითი ფაქტორებიდან, ინდივიდუალური შეხედულებების მიხედვით, ზოგიერთი მათგანი შეიძლება აბსურდულადაც მოგვეჩვენოთ. ბუნებრივია, რომ ნებისმიერ მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა, ცალსახაა, რომ აგრეგირებული მსოფლიოსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი მოვლენაა და ხელს უწყობს მთლიანი მსოფლიოს განვითარებას. ნებისმიერი პროცესი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისუფლად გადადინებას, ასევე აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა, ცალსახად, არასწორი ნაბიჯია. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, გარკვეული ნეგატიური ფაქტორების ლიკვიდირება ან გარკვეულწილად, მათი ეფექტის შემცირება, რათა პუი-დან მიღებული მსოფლიო ბენეფიტები თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მიმღებ ასევე ინვესტორის ქვეყანაზე.

## 3.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა დიდი როლი ითამაშე, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. საქართველოში პუი-ს შემოდინებას ხელს უწყობდა, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და საინვესტიციო გარემო, გამარტივებული პროცედურებითა და იაფი მუშახელით. (Silagadze & Zubiashvili, 2016)

საქართველოს გეო-ეკონომიკური მდებარეობა მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის. ჩვენ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოემართებოდა ე.წ. "აბრეშუმის გზა" ინდოეთიდან და ჩინეთიდან - ევროპისაკენ. საქართველო თანამედროვე პირობებშიც საკვანძო დამაკავშირებელი ხიდია ევროპა-აზიისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე გავლით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა დიდია. სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გარდა, საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი ნავთობსადენები და აირსადენები. (სილაგაძე, 2018)

მეორე მხრივ, საქართველოში არსებობს შემაფერხებელი ფაქტორებიც, რაც ხელს უშლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდას. აქ შეიძლება განვიხილოთ, ბაზრის სიმცირე, დაბალკვალიფიციური მუშახელი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, არასტაბილური ეროვნული ვალუტა - ლარი, დაძაბული პოლიტიკური ვითარება და კონფლიქტის ზონების არსებობა. (Erkomaishvili, Kobalava, & Lazariashvili, 2018)

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა 1997 წლიდან იწყება (საქსტატი, 2019). საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტრენდი, რა თქმა უნდა, საკმაოდ გავს მსოფლიო ტრენდს, რადგან პუი-ს მსოფლიო მოვლენებით იმართება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ლოკალური კრიზისებისა და ბუმების პერიოდების გავლენა.



[7]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაში მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება 2006-2008 წლებში, რაც მეტწილად გამოწვეული იყო მსოფლიო ბუმით, რომელიც 2008 წლის ფინანსური კრიზისით გამოწვეულმა რეცესიამ ჩაანაცვლა 2009-2010 წლებში. თუმცა, 2008 წელი საქართველოსთვის ორმაგად რთული იყო, რადგან მსოფლიო კრიზისთან ერთად, დაემთხვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი, რაც ცალსახად, საქართველოს არამიმზიდველს და რისკიანს ხდიდა მსოფლიო ინვესტორების თვალში. 2011 წლიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კვლავ, მზარდი ტრენდით ხასიათდება და 0.4%-იანი კლება ფიქსირდება 2018 წელს, რაც ასევე მსოფლიო შემცირების ტენდენციაა.

2019 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ 1,267.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე - 598.5; დსთ-ის ქვეყნებიდან შემოსულმა ინვესტიციებმა 115.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - 6.9 მლნ აშშ დოლარი. (დანარჩენი ქვეყნები - 553.9 მლნ აშშ დოლარი)

[7] წყარო: https://www.geostat.ge/
*წინასწარი მონაცემები.




წყარო: საქსტატი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. (საქსტატი, 2019)

2019 წელს, შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 77% უმსხვილესმა 9 ქვეყანამ შეადგინა, ჯამში 977.1 მლნ. აშშ დოლარი, რომელთაგანაც ლომის წილი მოდის გაერთიანებულ სამეფოსა და თურქეთზე, შესაბამისად 247.8 მლნ. აშშ დოლარი და 236.5 მლნ. აშშ დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიედინება საფინანსო (20.6%), ენერგეტიკისა (15.3%) და სასტუმროები და რესტორნების (12.4%) სექტორებისაკენ.

უცხოელი ინვესტორების მოზიდვის ნათელი მაგალითია საბანკო სფერო, სადაც საქართველოში არსებული ბანკების უმრავლესობიდან, თითოეულში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული და ხშირ შემთხვევაში, ქართული მხარის (ოფიციალური) წილობრივი მონაცემები არათუ საკონტროლო პაკეტით, არამედ მინიმალური დოზით შემოიფარგლება. (ჭარაია, 2015, გვ. 49)




წყარო: საქსტატი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. (საქსტატი, 2019)

რეგიონების მიხედვით, ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თბილისსა და აჭარაში ხორციელდება. კერძოდ, 2019 წელს 65% (820 მლნ. აშშ დოლარი) დაბანდდა ქ. თბილისში, ხოლო 16% (207 მლნ. აშშ დოლარი) აჭარაში.

ერთი მხრივ, ინვესტორის გადასაწყვეტია დროის კონკრეტულ მომენტში რომელ ქვეყანაში განახორციელოს მისთვის სასურველი ინვესტიცია ან რეინვესტირება. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი სურვილი, როგორც წესი, თითოეული ქვეყნის, კონკრეტული მთავრობების, შესაბამისი გადაწყვეტილებებით არის განპირობებული. საქართველოსთვის, ახლა იკიდებს ფეხს და ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს ატარებს, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ყოველი დოლარი/ევრო, რომელიც სხვადასხვა სექტორების განვითარებას უნდა მოხმარდეს. (ჭარაია, 2015)

საქართველომ 90-იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მრავალ სფეროში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ბოლო დეკადა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ფონზე. (World Bank Group, 2018)




წყარო: (The World Bank, 2018)

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1990-იანი წლების შემდგომ. არსებული სტატისტიკური ინფორმაციით, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა ერთ მოსახლეზე, ყველაზე დაბალი ნიშნული 1994 წელს დაფიქსირდა, რომელმაც 1,011.17 აშშ დოლარი[8] შეადგინა. ხოლო, 2018 წელს ანალოგიური ინდიკატორის მნიშვნელობა 4721 აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად, საუკუნის მეოთხეში, საქართველოს მოქალაქის ცხოვრების დონე, საშუალოდ 4-ჯერ გაუმჯობესდა.

რა თქმა უნდა, ცხოვრების დონეს და ეკონომიკურ ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უსახსროდ დარჩენილ საქართველოში, ტრანსფორმაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტების არარსებობის პირობებში, რთული და არასასურველი წარმოსადგენია რა ვითარებაში აღმოვჩნდებოდით დღესდღეობით.

[8] (The World Bank, 2018) - GDP per capita (constant 2010 US$)

# 4. უმუშევრობის მნიშვნელობა

## 4.1 უმუშევრობის განსაზღვრება და მისი ტიპები

უმუშევრობა ეს არის მოვლენა, რომლის დროსაც მოსახლეობის ცალკეული ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს. უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, არა მხოლოდ, უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა. (ბიბლიოთეკა, NPLG, 2008)

უმუშევრობის დონე განისაზღვრება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მიერ (International Labour Organisation, 2020) დაწესებული სტანდარტების შესაბამისად. შრომის სტატისტიკის მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე, 1982 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც დადგინდა შესაბამისი შრომის ბაზრის კატეგორიების განსაზღვრის სტანდარტები. ამ სტანდარტების მიხედვით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უმუშევრობას განმარტავს შემდეგნაირად: „უმუშევართა რაოდენობა აერთიანებს 15 და მეტი წლის პირებს, რომლებიც შესწავლის პერიოდისათვის არიან უმუშევრები – არ იღებენ ხელფასს ან/და არ არიან თვითდასაქმებულები.“

უმუშევრობის დონე განისაზღვრება, უმუშევართა რაოდენობის პროცენტული წილით სამუშაო ძალაში (მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი). შესაბამისად, საჭიროა, განისაზღვროს რას ნიშნავს „უმუშევარი“, „დასაქმებული“ და „სამუშაო ძალა“.

სამუშაო ძალა ეს არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიჩნეულის ეკონომიკურად აქტიურად. შესაბამისად, პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ზემოთაღნიშნული ნაწილი. საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების მიხედვით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყველაზე ხშირად გამოყენებული სახელწოდებაა სამუშაო ძალა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს ორ კატეგორიას: დასაქმებულებს და უმუშევრებს. (კათედრა, 2017)

დასაქმებულია (მომუშავეა) – პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ. დასაქმებული მოსახლეობა თავის მხრივ იყოფა დაქირავებულ, თვითდასაქმებულ, დამხმარე და გაურკვეველი საქმიანობის მოსახლეობად.

უმუშევარია – 15 და მეტი წლის პირი, რომელსაც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში არ უმუშავია ერთი საათიც კი, მზად იყო მუშაობისათვის და ეძებდა სამუშაოს გამოკითხვამდე 4 კვირის განმავლობაში.

სხვაობა 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის წარმოადგენს ეკონომიკურად არააქტიურ, ანუ სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას.

განისაზღვრება უმუშევრობის სამი ტიპი: (ბიბლიოთეკა, NPGL, 2008)

1. ფრიქციული უმუშევრობა - პროფესიისა და საქმიანობის სახეების არჩევის „თავისუფლების“ პირობებში გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და კიდევ არსებობს

მომუშავეთა კატეგორია – ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. როდესაც ყველა ეს დასახელებული ადამიანი მოძებნის ახალ სამუშაოს ან ძველს დაუბრუნდება დროებით გათავისუფლების შემდეგ, მათ შეცვლის სამუშაოს სხვა „მძებნელები“ და დროებით გათავისუფლებული მომუშავეები, რომლებიც მათ ადგილს დაიკავებენ უმუშევართა „საერთო ფონდში“. ფრიქციული უმუშევრობა გამოწვეულია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა ერთმანეთის ძიების გაჭიანურებული პროცესით. ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნევლად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც „სტრუქტურული უმუშევრობა“ ეწოდება.

2. სტრუქტურული უმუშევრობა - დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო. სტრუქტურული უმუშევრობა არის გრძელვადიანი, ქრონიკული უმუშევრობა, რომელიც გამოწვეული არ არის ეკონომიკის რეცესიით. მთავარი მიზეზი არის სამუშაო ძალის შეუსაბამო კვალიფიკაცია ბაზრის მოთხოვნებთან.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამს, ბუნებრივი უმუშევრობის დონე ეწოდება (u*). უმუშევრობის ბუნებრივ დონედ მიჩნეულია 5,5 – 6.5%. თუმცა, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე ის შეიძლება ვარირებდეს. (Zivot, 1996)

3. ციკლური უმუშევრობა - ამ ტიპის უმუშევრობა წარმოიშვება დაქვეითების პერიოდში, ე. ი. ეკონომიკური ციკლის იმ ფაზაში, რომელიც საერთო ანუ მთლიანი ხარჯების უკმარისობით ხასიათდება, ანუ რეცესიის დროს. მთლიანი უმუშევრობის დონისა (u)

და ბუნებრივი უმუშევრობის დონის (u*) სხვაობით მიიღება ციკლური უმუშევრობის დონე (u-u*).

## 4.2 უმუშევრობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საზომად გამოიყენება მთლიანი შიგა პროდუქტი - ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში. (Y=C+I+G+NX) შესაბამისად, რაც უფრო მეტია წარმოებული ქვეყნის საზღვრებში, მით უფრო მდიდარია ქვეყანა.

წარმოებისათვის საჭიროა გარკვეული რესურსები. ეკონომიკაში, წარმოების მთავარ ფაქტორებად განიხილება კაპიტალი, ანუ ფინანსურ რესურსი; ადამიანური და ბუნებრივი რესურსები. წარმოების ფაქტორების პირველი ავტორის, ჟან ბაპტისტ სეის (Say, 1803, p. 57) მიხედვით, ეს ფაქტორებია: მიწა (T), კაპიტალი (K) და შრომა (L). მაკკონელი, ბრუ და ფლინი, (McConnell, Brue, & Flynn) ამ სამ ფაქტორთან ერთად ასევე, განიხილავენ, მეწარმეობრივ უნარს ანუ, მწარმოებლურობას. ხოლო, შუმპეტერი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელ ფაქტორად ინოვაციასა და „ანტრეპრენუარიზმს“ განიხილავს. (Schumpeter, 2011, p. 286)

სამუშაო ძალა, არის უმნიშვნელოვანესი რესურსი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. თითოეული უმუშევარი ადამიანი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დაკარგული ნაწარმოები საქონელი თუ მომსახურება, რომელსაც მივიღებდით მათი დასაქმების შემთხვევაში. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო არაპროდუქტიულად ფუნქციონირებს ეკონომიკა და ვერ იყენებს თავის შეზღუდულ რესურსებს ეფექტიანად (ამ შემთხვევაში ადამიანურ რესურსს). (Anghel, Anghelache, & Manole, 2017) ამასთან, თითოეული უმუშევარი, არა თუ ვერ აწარმოებს თავისი პოტენციალის შესაბამისად, ასევე, სოციალურად დაუცველ ფენას მიეკუთვნება, რომელსაც არ აქვს შემოსავლის წყარო და საჭიროებს გარკვეულ დახმარებას მთავრობისაგან. შესაბამისად, უმუშევარი ადამიანი ორმაგად აწვება ეკონომიკას.

უმუშევრობა ხელს უწყობს ქვეყანაში სიღარიბის დონის ზრდას. სიღარიბის მაღალი დონე მოქალაქეებს აიძულებთ დათანხმდნენ ნებისმიერ სამუშაოს, მიუხედავად მიუღებელი სამუშაო პირობებისა. (Misini, 2017) ამ მომენტს, შეიძლება გადამწყვეტი

როლი ჰქონდეს ქვეყნის მომავლისათვის, წახალისდეს მიგრაცია, ადგილი ჰქონდეს „ტვინების გადინებას“, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში უკეთესი პირობების ძიებისათვის და საბოლოო ჯამში, ნეგატიური ფაქტორია ქვეყნის განვითარებისათვის (Baleci & Heeman, 2013).

უმუშევრობის მაღალი დონე ასევე, არაპირდაპირ ახდენს გავლენას მთლიანი შიგა პროდუქტის კომპონენტებზე. (Mosikari, 2013)




წყარო: მსოფლიო ბანკი (Wold Bank indicators)

უსახსროდ დარჩენილი მოსახლეობა, არათუ ვერ აწარმოებს და სოციალურ დაცვას საჭიროებს, ასევე, ამცირებს მოხმარების კომპონენტს (c), რომელიც, მაგალითად აშშ-ის GDP-ში 70%-ს შეადგენს. შემცირებული მოხმარება, ნიშნავს ბიძგს მწარმოებლებისათვის ნაკლები აწარმოონ, რაც საბოლოო ჯამში გარკვეული საწარმოების დახურვასა და უმუშევრობის კიდევ უფრო მეტად ზრდას განაპირობებს.

უმუშევარი ადამიანი ვერ იხდის გადასახადებს ბიუჯეტში, შესაბამისად მცირდება მთავრობის პოტენციალიც (G კომპონენტი) პროექტების და სხვადასხვა სფეროების დასაფინანსებლად, რაც კიდევ უფრო აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ასევე, მცირდება ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობაც (I), რომლის დაფინანსების წყარო დანაზოგებია (s). შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა კი უუნაროა დაზოგოს.

შესაბამისად, უმუშევრობა ამცირებს ქვეყნის პოტენციალს, არა მხოლოდ, იმ დოზით რისი წარმოებაც მას შეეძლო, არამედ გარკვეულ სპირალს წარმოქმნის და მისი თითოეული არამოხმარებული თანხა ირიბად გადაეცემა მთელ ეკონომიკას. ასევე, ქვეყანაში იქმნება დაძაბულ სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი დონე, ხშირ შემთხვევაში განიხილება დანაშაულის გამომწვევ ფაქტორადაც. (Winter-Ebmer, 2001) საბოლოო ჯამში, უმუშევრობა არის უდიდესი ხარჯი მთლიანი ეკონომიკისათვის. (Blanchflower, 2007)

## 5.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დასაქმება

უმუშევრობის შემცირება, ერთი მხრივ, შესაძლებელია სამუშაო ადგილების შექმნით, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლებით. მოთხოვნის ზრდა სამუშაო ძალაზე ძირითადად ამცირებს ციკლურ და ფრიქციულ უმუშევრობას, ხოლო, მოსახლეობის განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება მიმართულია სტრუქტურული უმუშევრობის შემცირებაზე.

შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უმუშევრობის დონის შემცირებაზე ერთდროულად უნდა ასტიმულირებდეს სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გადამზადების პროცესებს.

პირდაპირი უცხოური  ინვესტიციები შესაძლებელია გამოყენებული იყოს ორივე ამოცანის გადასაჭრელად, როგორიცაა:

1. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
2. მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თავად უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი ხელფასებია. ხოლო, მეორე მხრივ, დიდი რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვის შემდგომ ეკონომიკა გამოცოცხლებულია, რაც ზრდის დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობას, მათი კვალიფიკაციის დონესა და შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამგვარად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც „უებარი წამალი“ უმუშევრობის სამკურნალოდ. რა თქმა უნდა, ამ დებულებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და მათ თავიანთი არგუმენტებიც აქვთ, თუმცა საუკეთესო შედეგის მიღება შესაძლებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაბამისი ათვისებისა და მისი ნეგატიური ფაქტორების მაქსიმალურად ელიმინირების გზით. რაც თავის მხრივ, საკმაოდ რთულად შესასრულებელი ამოცანაა. თუმცა, თუ შევთანხმდებით, რომ კონკრეტული ქვეყნისათვის პირდაპირი უცხოურ ინვესტიციას მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია,

ვიდრე მისი არ არსებობისას, რაციონალურია რიგ ნეგატიურ ფაქტორებზე თვალის დახუჭვაც.

ამგვარად, მიზანშეწონილია კვლავ განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები და ამ შემთხვევაში კონკრეტულად, დასაქმების ზრდის თვალსაზრისით. ამ ფაქტორებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი სამი ძირითადი:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს მიმღებ ქვეყანაში, შესაბამისად, ამცირებს უმუშევრობას. რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისათვის დიდი მულტიპლიკატორია.
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ფაქტორია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; კვალიფიკაციისა და ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა; ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოლოდინების შექმნა შესაძლო სამუშაო ადგილების შესახებ, რაც მათ აძლევს დამატებით სტიმულს მიიღონ შესაბამისი განათლება და აიმაღლონ კვალიფიკაცია.
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადამიანური რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ.

## 5.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - სამუშაო ადგილების შექმნა

ინვესტორისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი მოტივატორი, სწორად ქვეყნის უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი რეალური ხელფასებია, რაც თავის მხრივ, ინვესტორისათვის უზრუნველყოფს მოგების მაღალ ნორმას.

თეორიულად, ეკონომიკაში ინვესტირება (I) უნდა ქმნიდეს დამატებით სამუშაო ადგილებს და შესაბამისად, ზრდიდეს მთლიან შიგა პროდუქტს. თუმცა, არსებული კვლევები ყოველთვის ამ ფაქტს როდი ადასტურებენ. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტული ურთიერთკავშირის გამოკვლევისას, სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება საკმაოდ რთულია. რადგან, პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ეფექტი ჰქონდეთ რამდენიმე წელიწადში და არა კონკრეტულად, იმ წლის განმავლობაში, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაღალი დონე დაფიქსირდა. ასევე, უმუშევრობაზე მრავალი სხვა ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ელიმინირება და მხოლოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის გამოკვლევა საკმაოდ რთული პროცესია. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხასიათდება სხვა გარე ფაქტორებით, რომლებიც ირიბად ახდენენ ეკონომიკის წახალისებასა და უმუშევრობის შემცირებას, რაც ასევე რთულად გასათვალისწინებელია კვლევებში. შესაბამისად, ამ ურთიერთკავშირის გამოკვლევისას მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ თეორიულ ეკონომიკურ ლოგიკას, მაგრამ ასევე საინტერესოა მიმოვიხილოთ არსებული ემპირიული კვლევები.

ბენგოა და სანჩეს-რობლესის მიერ 1970-1999 წლებში ლათინური ამერიკის 18 ქვეყანაში ჩატარებული ემპირიული კვლევის, თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დადებითად აისახა ამ ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. (Bengoa M, 2003)

ჰიჯენსის კვლევის მიხედვით უცხოური ინვესტიციები ამცირებს უმუშევრობის დონეს, თუმცა არ ხასიათდება დიდი მასშტაბურობით. (Hijzen, Martins, Schank, & Upward, 2013) მეორე მხრივ, დინგა და მნიჩის 2010 წლის ჩეხური მონაცემების

ანალიზის მიხედვით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დიდი გავლენა აქვს დასაქმების დონის ზრდაზე. (Dinga & Mnich, 2010) ბანდიკი და კარპატი, 2011 წელს ასევე ადასტურებენ ამ ურთიერთკავშირის არსებობას, თუმცა ისინი ამტკიცებენ ამ ეფექტის არსებობას შედარებით მაღალკვალიფიციურ მუშახელში. (Bandick & Karpaty, 2011) განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მოკლევადიან პერიოდში შეიძლება შეზღუდოს სამუშაო ადგილები მუშა-დამზოგველი ტექნოლოგიების შემოტანით, თუმცა გრძელვადიან პერიოდში პუი იწვევს სამუშაო ადგილებისა და პროდუქტიულობის ზრდას. ამასთან, პოზიტიური ეფექტი მეტია მაღალკვალიფიციურ მუშახელში, რომელთაც აქვთ ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარები. (Hale & Xu., 2016)

განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევები კიდევ უფრო დიდ ურთიერთკავშირს ავლენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიურ გავლენაზე დასაქმების ზრდის კუთხით. ჩინეთის მაგალითზე, სუნემ აღნიშნული პოზიტიური ეფექტი გამოიკვლია 2007 წელს. (Sune, Nannan, Fredrik, & Ping, 2009) ვილდრიხმა და ნუნენკამპმა 2009 წელს, მექსიკის ბაზრის ანალიზისას მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი დაინახეს, როგორც მაღალკვალიფიციური ასევე დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი, ექსპორტზე ორიენტირებული ფირმების შემთხვევაში. (Nunnenkamp, 2009) 2015 წელს პელუფოს კვლევა, ურუგვაის მაგალითზე, ასევე ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას დასაქმების ზრდაზე. (A.Peluffo, 2015)

თუმცა, არსებობს კვლევები, რომლებიც ვერ ადასტურებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის მაღალ კორელაციურ კავშირს. სერბ მეცნიერებმა (Zdravkovic Aleksandar, 2017) გამოიკვლიეს 17 გარდამავალი ეკონომიკა 2000-2014 წლებში. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და უმუშევრობა დონე უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ემპირიული მტკიცებულებების შეუსაბამობა გვიბიძგებს მივემხროთ თეორიას, რომ გრძელვადიანი გავლენა პუისა დასაქმებაზე გარდამავალ ქვეყნებში არის ძალიან სუსტი ან საერთოდ არც არსებობს.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკური თეორიის მიხედვით, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პოზიტიური ეფექტი მიმღები ქვეყნის უმუშევრობის დონის შემცირებაზე. მოკლევადიან პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეიძლება განხილული იყოს, როგორც სამუშაო ადგილების შემზღუდავი და ადგილობრივი ფირმების დახურვის მიზეზი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენციისა და პროდუქტიულობის ამაღლების ფონზე, ფართოვდება ეკონომიკა და იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილებიც.

## 5.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარებაზე თუ რა გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე არ არის ცალსახა და არსებობს, როგორც ნეგატიური ასევე, პოზიტიური შეხედულებები. ერთი მხრივ, ის ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, რაც პოზიტიურად განიხილება, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ. შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალა დაბალანაზღაურებად, არაპრესტიჟულ ადგილებზე არიან დასაქმებულები, მწირი ტრეინინგების ფონზე. ამ მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომლის ერთმნიშვნელოვანი მოტივაცია მოგების მიღებაა, შესაძლებელია ნეგატიურად განვიხილოთ, რადგან ინვესტორს არ აქვს ეროვნული მოტივები ადგილობრივი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების. (Vissak & Roolaht, 2014)

აღმოსავლეთ აზიაში 1960 წლების შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება საგრძნობლად იზრდება, რამაც ასევე დააჩქარა ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდაც. ჰონგ ჟუანგმა (Zhuang, 2016) 1985-2010 წლებში სცადა გამოეკვლია ეს კავშირი 16 ქვეყანაზე დაყრდნობით. კვლევის შედეგმა აჩვენა რომ უცხოური კაპიტალის ზრდამ წაახალისა საშუალო განათლება, თუმცა ნეგატიური გავლენა ჰქონდა უმაღლესს განათლებაზე. ჯონატან მიჩის OECD-ისათვის წარსადგენი კვლევის მიხედვით, ასევე არ გამოიკვეთა დიდი პოზიტიური კავშირი აზიის ქვეყნებში. (Michie, 2001) ტაილანდის შემთხვევაში ძალიან მცირე დონით მოხდა ტექნოლოგიური და მენეჯერული უნარების გადაცემა, ასევე მცირე იყო ტრენინგები, რადგან ინვესტიციები ამ ქვეყანაში საშუალო ტექნოლოგიურ ინდუსტრიებში

ხორციელდებოდა, რომლებიც არ მოითხოვს დიდ უნარებს და შესაბამისად, მცირე მოთხოვნების ფონზე ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები არ განხორციელებულა. ანალოგიური ურთიერთკავშირი დაფიქსირდა მალაიზიაში. თუმცა, ტაილანდის შემთხვევაში უფრო აქტიურ როლს მთავრობა ასრულებდა, რომელიც ცდილობდა განათლების ხელშეწყობასა და ტრენინგების ჩატარებას. სინგაპურის შემთხვევაშიც ასევე, მთავრობამ დიდი ინვესტიციები განახორციელა განათლებასა და ტრეინინგებში რაღა მოეზიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ბლომსტრომისა და კოკოს (Blomstrom & Kokko, 2002) მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. ფორმალური განათლება;
2. თანამშრომელთა ტრეინინგები;
3. სერვისის ინდუსტრია.

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს უმნიშვნელო გავლენა აქვს დაწყებით ან საშუალო განათლებაზე, თუმცა პირიქით შეინიშნება უმაღლესი განათლების შემთხვევაში. პუი მნიშვნელოვანი სტიმულატორია ფორმალური განათლების ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. (Blomstrom & Kokko, 2002) ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) უზრუნველყოფენ მიმზიდველი სამუშაო ადგილების შექმნას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მაღალანაზღაურებადსაც წარმოადგენს კვალიფიციური მუშა-ხელისათვის. შესაბამისად, პუი ხელს უწყობს, როგორც სტუდენტების მოტივაციას დაასრულონ უმაღლესი სასწავლებლები და მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია. ის ასევე წამახალისებელია მთავრობებისათვის, რომ დააფინანსონ მოთხოვნადი სფეროები და გასცენ გრანტები განათლებისათვის. თავად ტნკ-ებიც მოღვაწეობის სფეროდან გამომდინარე მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ

განათლების სფეროში და ფინანსურ დახმარებას/სტიპენდიებსაც უნიშნავენ სტუდენტებს. (UNCTAD, 1994)

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ტრეინინგებს შორის მაღალი ეფექტური კორელაციური კავშირი შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ამ ტიპის ქვეყნებში სუსტი ფორმალური განათლებით, რაც შესაბამისად იწვევს იმას, რომ ტრეინინგების ეფექტი ბევრად მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, სადაც განათლების მაღალი სტანდარტები არსებობს. ტნკ-ებში დასაქმებულ ადგილობრივ კადრებს ხშირად უწევთ მობილობა დედა კომპანიებში, რაც ხელს უწყობს მათთვის გამოცდილების გაზიარებას და ახალ სტანდარტებთან გაცნობას. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნების გარეშე ისინი ცდილობენ მიბაძონ მაღალ სტანდარტებს და ადგილობრივ კომპანიებშიც ნერგავენ მათ. მობილობა არამარტო მენეჯერული უნარ-ჩვევების გაზიარებას უწყობს ხელს, (Gershenberg, 1987, pp. 931-939) ასევე დიდ როლს თამაშობს კომპიუტერული აპლიკაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებაში. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი ფირმების მენეჯერებმა, თავიანთი კარიერა სწორად ტნკ-ებში დაიწყეს და გამოცდილება იქ დააგროვეს. (Katz, 1987) დაბალ ანაზღაურებად კომპანიებშიც კი, სადაც მწირი ტრეინინგები შეინიშნება და ტნკ-ები ექსპორტზე ორიენტირებულები არიან, მაინც ხასიათდებიან მნიშვნელოვანი საინვესტიციო ხარჯებით ტრეინინგებში, რათა მათ აქვთ ვალდებულება ექსპორტზე გაიტანონ საქონელი, რომელიც მაღალი სტანდარტებითა და ხარისხით გამოირჩევა. (UNCTAD, 1999)

განვითარებადი ქვეყნები გამოირჩევიან მზარდი სერვის ინდუსტრიით, შესაბამისად ტრანსნაციონალური კომპანიებიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ამ სფეროში. სერვისის ინდუსტრია კიდევ უფრო მეტ ტრეინინგს საჭიროებს, რადგან ბევრი სერვისი შეუძლებელია გადატანილი იყოს საზღვრებზე, შესაბამისად კომპანიები იძულებულნი არიან გადაამზადონ ადგილობრივი კადრები, რაც გამოიხატება მათთვის ტრეინინგების ჩატარებითა და მაღალი სტანდარტების გაცნობით. (UNCTAD, 1994) შესაბამისად, ტნკ-ები ხელს უწყობენ სტანდარტებისა და ცოდნის გაზიარებას, განსაკუთრებით სერვისისა და მომსახურების სფეროში, რაც

საბოლოო ჯამში ადგილობრივი კომპანიებისათვის კარგ მაგალითს და ხშირ შემთხვევაში მისაბაძსაც კი წარმოადგენს.

## 5.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ადამიანური რესურსების ექსპლუატაცია და ანაზღაურება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტების განხილვისას ცხარე კამათის საგანს სწორად სამუშაო ძალაზე უცხოური კაპიტალის გავლენა წარმოადგენს. მეცნიერების ნაწილს მიაჩნიათ, რომ პუი უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივ სამუშაო ძალაზე და მათ ექსპლუატაციაზეა ორიენტირებული. განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან სიღარიბის მაღალი დონითა და დასაქმების დაბალი დონით, შესაბამისად ამ ტიპის ქვეყნებში მუშა-ხელი მზად არის მიიღოს დამსაქმებლის ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება არ აკმაყოფილებდეს შრომით სტანდარტებსა და შესაბამის ანაზღაურებას. ვინაიდან, ბაზარზე დიდია მოთხოვნა, ხოლო მიწოდება ნაკლები, ამ შემთხვევაში მომგებიან როლში გვევლინებიან დამსაქმებლები, ინვესტორები, რომელთა მიზანიც მოგების მაქსიმიზაციაა და შესაბამისად, ხარჯების შემცირება, ანუ ნაკლები ხელფასის გადახდა.

ინვესტორი, რომელსაც თავისი საქმიანობა გააქვს ქვეყნის გარეთ, მისთვის ძირითად მოტივატორს ადგილობრივი მაღალი საშუალო ხელფასი წარმოადგენს, რომლისთვისაც მიმზიდველია განვითარებადი ქვეყნის დაბალანაზღაურებადი მუშახელი. (Aitken, Harrison, & Lipsey, 1996) შესაბამისად, გასაკვირი არც არის, რომ ინვესტორი, მიმღებ ქვეყანაში მუშა-ხელს შედარებით დაბალ ანაზღაურებას შესთავაზებს.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ. შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალა დაბალანაზღაურებად, არაპრესტიჟულ ადგილებზე არიან დასაქმებულები, მწირი ტრეინინგების ფონზე. ამ მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომლის ერთმნიშვნელოვანი მოტივაცია მოგების მიღებაა, შესაძლებელია ნეგატიურად

განვიხილოთ, რადგან ინვესტორს არ აქვს ეროვნული მოტივები ადგილობრივი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების. (Vissak & Roolaht, 2014)

შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეგატიური გავლენა სამუშაო ძალაზე, შესაძლებელია ორად გამოვყოთ:

1. ადგილობრივი კადრების დაბალი ანაზღაურება;
2. ადგილობრივი კადრების დაბალკვალიფიურ პოზიციებზე დასაქმება, რაც არ უზრუნველყოფს მათ კვალიფიკაციის ზრდასა და განვითარებას.

უცხოური ინვესტორის მთავარი მოტივი შევიდეს სხვა ქვეყანაში განპირობებულია ადგილობრივი დაბალანაზღაურებადი კადრებით. შესაბამისად, ბუნებრივია ადგილობრივი კადრების შედარებითი დაბალი ანაზღაურება.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია კავშირი ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას შორის ქვეყანაში. ტნკ-ები აუმჯობესებენ ადგილობრივ სტანდარტებს, ზრდიან კონკურენციასა და შესაბამისად ანაზღაურებასაც. ამის საშუალებას მათ აძლევთ წარსული გამოცდილება, პროდუქტიულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და ტექნოლოგიური ცოდნა. (OECD, 2008, p. 11)

თუმცა, აზრები ყოველთვის იყოფა და მრავალ გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რამდენად ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა ექნება პუის სამუშაო პირობებზე.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ბენეფიტები რეციფიენტ და დონორ ქვეყნებს შორის გადანაწილდეს თანაბრად, თუმცა ამ ოქროს შუალედის მიღწევა რეალურ სამყაროში საკმაოდ რთულია, ამასთან ყველა ტიპის ბენეფიტი არ არის გაზომვადი. ამ შემთხვევაში, რომ გავაანალიზოთ რამდენად კარგ სიტუაციაში იმყოფება პუის მიმღები ქვეყანა, რაციონალურია შევადაროთ მიღებული შედეგები და ბენეფიტები, არა დონორი ქვეყნის შედეგებს, არამედ დაშვებას, თუ როგორი იქნებოდა მიმღები

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რომ არ განხორციელებულიყო უცხოური ინვესტიციები.

# დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის ქვეყნებში. ეს პროცესი მომგებიანია ორივე მხარისათვის, რადგან მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები სარგებლობენ სახსრებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ ექნებოდათ, ხოლო განვითარებული ქვეყნების ინვესტორებს არსებული, გაჯერებული ბაზრებიდან გადააქვთ კაპიტალი უფრო მომგებიან ბაზრებზე.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერ მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა, ცალსახაა, რომ აგრეგირებული მსოფლიოსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი მოვლენაა და ხელს უწყობს მთლიანი მსოფლიოს განვითარებას.

მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროებით გარდამავალი ეკონომიკები გამოირჩევიან. (Makki & Somwaru, 2004) მათ სხვადასხვა სფეროებში სჭირდებათ დიდი რაოდენობით ინვესტირება, რათა შეძლონ და ფეხი აუწყონ თანამედროვე მსოფლიოს. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში მაღალია სიღარიბის დონეს, რაც ამცირებს ადგილობრივი დაზოგვის ნორმას, შესაბამისად პოტენციურ ადგილობრივ ინვესტიციებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროება მსოფლიომ შედარებით, ორი მსოფლიო ომის შემდგომ შეამჩნია. როდესაც, მთლიანი ევროპა თავიდან საჭიროებდა განვითარებას რაც დიდძალ ეკონომიკურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. სწორად, ამ პერიოდში ჩანს უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი. (Moon, 2016)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი მოვლენაა მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან იგი უმნიშვნელოვანესი წყაროა ფინანსური რესურსების შემოდინებისათვის; ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გაზიარებისათვის; ქვეყანაში კონკურენციის გაზრდისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; პუი

ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდას, საგადასახო შემოსავლების ზრდას ბიუჯეტში და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

თუმცა, აუცილებელია რისკების შეფასება, რომელთაგან უცხოური ინვესტიციების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტებია: ავტონომიის დაკარგვა და ეროვნული მოტივების ნაკლოვანება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად გამომდინარეობს პროტექციონისტული პოლიტიკიდან. ისინი მიუთითებენ შესაძლო უცხოური კორპორაციების მონოპოლიების განვითარებაზე ქვეყანაში და მატი გავლენის ზრდას, რომელმაც მცირე ქვეყნის შემთხვევაში შესაძლოა გადააჭარბოს ქვეყნის მთავრობების გავლენასაც კი, ანუ თავისუფლების ასიმეტრია. ასევე, მოწინააღმდეგეთა არგუმენტები შეეხება ინვესტორთა არასტაბილურობას, რომლებიც ერთგვარ „ამინდის მეგობრებს“ წარმოადგენენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვისას, ცხარე კამათის საგანს მისი გავლენა წარმოადგენს სამუშაო ძალაზე. რომელთაგან, სამი ასპექტი გამოიყოფა: უმუშევრობის დონე, კადრების განვითარება და მათ სამუშაო გარემოზე გავლენა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თავად უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი ხელფასებია. ხოლო, მეორე მხრივ, დიდი რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვის შემდგომ ეკონომიკა გამოცოცხლებულია, რაც ზრდის დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობას, მათი კვალიფიკაციის დონესა და შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკური თეორიის მიხედვით, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პოზიტიური ეფექტი მიმღები ქვეყნის უმუშევრობის დონის შემცირებაზე. მოკლევადიან პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეიძლება განხილული იყოს, როგორც სამუშაო ადგილების შემზღუდავი და ადგილობრივი ფირმების დახურვის მიზეზი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენციისა და პროდუქტიულობის ამაღლების ფონზე, ფართოვდება ეკონომიკა და იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილებიც.

თუმცა, თუ შევთანხმდებით, რომ კონკრეტული ქვეყნისათვის პირდაპირი უცხოურ ინვესტიციას მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე მისი არ არსებობისას, რაციონალურია რიგ ნეგატიურ ფაქტორებზე თვალის დახუჭვაც.

მიზანშეწონილია, გარკვეული ნეგატიური ფაქტორების ლიკვიდირება ან გარკვეულწილად, მათი ეფექტის შემცირება, რათა პუი-დან მიღებული მსოფლიო ბენეფიტები თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მიმღებ ასევე ინვესტორის ქვეყანაზე. მაგალითად, შეიძლება განიხილოს მინიმალური ხელფასის კანონი საკუთარი მუშა ხელის დასაცავად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თავისი რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, აგრეგირებული მსოფლიოსათვის, დადებითი მოვლენაა. ნებისმიერი პროცესი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების ზრდას, ასევე აფერხებს  მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა, ცალსახად, არასწორი ნაბიჯია. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, გარკვეული ნეგატიური ფაქტორების ლიკვიდირება ან გარკვეულწილად, მათი ეფექტის შემცირება, რათა პუი-დან მიღებული მსოფლიო ბენეფიტები თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მიმღებ ასევე ინვესტორის ქვეყანაზე.

# გამოყენებული ლიტერატურა


ბიბლიოთეკა, ს. პ. (2008). *NPGL*. მოპოვებული National Parliamentary Library of Georgia: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14728-დან

ბიბლიოთეკა, ს. პ. (2008). *NPLG*. მოპოვებული National Parliamentary Library of Georgia: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14705-დან

კათედრა, ე. დ. (2017). *სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მენქიუ, გ. (2000). *ეკონომიკის პრინციპები.* დიოგენე.

საქართველოს პარლამენტი. (2014). *ეკონომიკური ტერმინოლოგია.* მოპოვებული http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/pbo/terminologia/ekonomikuri-terminologia-დან

საქსტატი. (2019). *სტატისტიკური ინფორმაცია - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/-დან

სილაგაძე, ლ. (2018). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჭარაია, ვ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. *თსუ.*

A.Peluffo. (2015). Foreign direct investment, productivity, demand for skilled labour and wage inequality: An analysis of Uruguay. *World Economy*.

Agarwal, J. (1980). *Determinants of foreign direct investment: A survey.*

Aitken, B., Harrison, A., & Lipsey, R. E. (1996). Wages and foreign ownership a comparative study of mexico, venezuela, and the united states. *International Economics*.

Aktar, İ., Demirci, N., & Öztürk, L. (2009). Can unemployment cured by economic growth and foreign direct investment? *Journal of Social Economic Research*.

Anghel, M.-G., Anghelache, C., & Manole, A. (2017). *The Effect Of Unemployment On Economic Growth.* Bucharest: University of Bucharest.

Baleci, F., & Heeman, H. (2013). European Perspectives.

Ballard, B. (2019). The alarming decline in foreign direct investment. *World Finance*.

Bandick, R., & Karpaty, P. (2011). Employment effects of foreign acquisition. *International Review of Economics & Finance*, 211-224.

Bayar, Y., & Ozturk, O. (2018). Impact of foreign direct investment inflows on tax revenues in OECD countries: A panel cointegration and causality analysis.

Bengoa M, S.-R. B. (2003).

Bivens, J. (2010). Worst economic crisis since the Great Depression. *Economic Policy Institute* .

Blanchard, O. (2008). *Macroeconomics (5th Edition).*

Blanchflower, D. G. (2007). Is Unemployment More Costly Than Inflation?

Blomstrom, M., & Kokko, A. (1997). *The Impact of Foreign Investment on Host Countries.*

Blomstrom, M., & Kokko, A. (2002). FDI and Human Capital: A Research Agenda: OECD DEVELOPMENT CENTRE. Working Paper No. 195.

Blomström, M., Kokko, A., & Mucchielli, J.-L. (2003). *The Economics of International Investment Incentives.*

Brukoff, P., & Rother, B. (2007). IMF Survey: FDI May Not Be as Stable as Governments Think. *IMF Policy Development and Review Department*.

Callen, T. (2020). Gross Domestic Product. *International Monetary Fund*.

Cambridge Dictionary. (2020). Retrieved from https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/investment

Dinga, M., & Mnich, D. (2010). The impact of territorially concentrated FDI on local labor markets: Evidence from the czech republic. *Labour Economics*, 354-367.

Erkomaishvili, G., Kobalava, M., & Lazariashvili, T. (2018). Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia. *20th International Conference on Economics, Business and Marketing Management, At Barcelona, Spain.*

Gershenberg, I. (1987). *The Training and Spread of Managerial Know-how, a Comparative Analysis of Multinational and Other Firms in Kenya.* World Development.

Hale, G., & Xu., M. (2016). FDI effects on the labor market of host countries. *FEDERAL RESERVE BANK OF SAN FRANCISCO*.

Herzer, D. (2010). How does foreign direct investment really affect. *Ibero-America Institute for Economic Research, University of Goettingen*.

Hijzen, A., Martins, P. S., Schank, T., & Upward, R. (2013). Foreign-owned firms around the world: A comparative analysis of wages and employment at the micro-level. *European Economic Review*, 170-188.

*International Labour Organisation*. (2020). Retrieved from ILO: https://www.ilo.org/ilostat-files/Documents/description_UR_EN.pdf

Jarblad, A. (2003). *The Global Political Economy of Transnational Corporations - A theory of asymmetric interdependence.*

Jungbluth, D. C. (2019). Tracing three decades of foreign direct investment booms and busts and their recent decline.

Kapuria-Foreman, V. (2008). *Economic Freedom and Foreign Direct Investment in Developing Countries.*

Katz, J. (1987). Technology Creation in Latin American Manufacturing Industries. *St. Martin's Press*.

Khan, M. A. (2016). *Multinational Enterprise Management Strategies in Developing Countries.*

Khan, S. (2014). Impact of FDI on GDP: An Analysis of Global Economy on Production Function. *MPRA*.

Kose, M. A., Sugawara, N., & Terrones, M. E. (2020). Global Recessions. *World Bank*.

Loungani, P., & Razin, A. (2011). *How Beneficial Is Foreign Direct Investment for Developing.*

Makki, S. S., & Somwaru, A. (2004). *Impact of Foreign Direct Investment and Trade on Economic Growth: Evidence from Developing Countries.*

Mankiw, N. G. (1998). *Principles of Economics .*

McConnell, C. R., Brue, S. L., & Flynn, S. M. (n.d.). Economics, EIGHTEENTH EDITION. http://www.gbv.de/dms/zbw/575092181.pdf.

Michie, J. (2001). The Impact of Foreign Direct Investment on Human Capital Enhancement in Developing Countries. *A Report for the OECD*.

Misini, S. (2017). *THE EFFECT OF ECONOMIC GROWTH IN RELATION TO UNEMPLOYMENT.* Kosovo: "AAB" College.

Moon, H.-C. (2016). *Foreign Direct Investment - A Global Perspective.*

Mosikari, T. (2013). The Effect of Unemployment Rate on Gross Domestic Product.

Ndedi, P. A. (2017). *Analyzing Factors Affecting Economic Growth.* World Bank.

Nunnenkamp, A. W. (2009). Employment e ects of fdi in mexico's non-maquiladora manufacturing. *Journal of Development Studies*.

OECD - Glossary. (n.d.). *GLOSSARY OF FOREIGN DIRECT INVESTMENT TERMS AND DEFINITIONS.* Retrieved from Organisation for Economic Co-operation and Development: https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/2487495.pdf

OECD. (2008). *THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON WAGES AND WORKING CONDITIONS.* Paris, France: OECD Conference Centre.

Papava, V. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine – OpEd. *Eurasia Review*.

Say, J.-B. (1803). *A Treatise on Political Economy.* Translated from the fourth edition of the French in 2001. Batoche Books Kitchener.

Schumpeter, J. A. (2011). *The Entrepreneur: Classic Texts 1st Edition.* Stanford, California: Stanford University Press.

Sheppard, E., Porter, P., Faust, D. R., & Nagar, R. (2009). *A World of Difference: Encountering and Contesting Development.* New York; London: The Guilford Press.

Silagadze, A., & Zubiashvili, T. (2016). Foreign Direct Investment in Georgia. *International Journal of Arts and Sciences*.

Stelter, D. (2020). *Coronomics - The beginning of a new economic and financial order.* Frankfurt.

Sune, K., Nannan, L., Fredrik, S., & Ping, H. (2009). Foreign firms and chinese employment. *World Economy*.

The World Bank. (2018). *DataBank - Indicators*. Retrieved from https://databank.worldbank.org/home.aspx

UNCTAD. (1994). *World Investment Report 1994: Transnational Corporations, Employment and the Workplace, United Nations, New York and Geneva.* United Nations Conference on Trade and Development.

UNCTAD. (1999). *World Investment Report 1999:Foreign Direct Investment and the Challenge of Development, United Nations, New York and Geneva.* United Nations Conference on Trade and Development.

UNCTAD. (2009). *GLOBAL FDI IN DECLINE DUE TO THE FINANCIAL CRISIS.* Investment Issues Analysis Branch of UNCTAD.

Vissak, T., & Roolaht, T. (2014). The Negative Impact of Foreign Direct Investment on the Estonian Economy.

Winter-Ebmer, R. (2001). Identifying the Effect of Unemployment on Crime, Journal of Law and Economics.

World Bank Group. (2018). *GEORGIA: Making the Recovery Sustainable (Country Economic Update).*

Zdravkovic Aleksandar, A. B.-M. (2017). Impact of FDI on unemployment in transition countries: Panel cointegration approach. *Institute of Economic Sciences (Serbia)*.

Zhuang, H. (2016). The effect of foreign direct investment on human capital development in East Asia. *Journal of the Asia Pacific Economy*, 195-211.

Zivot, E. (1996). *Unemployment definitions and statistics*. Retrieved from University of Washington: http://faculty.washington.edu/ezivot/econ301/301l5_1.htm

Zucman, G. (2019). *Global Wealth Inequality.*